
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

ახალი გზადშენი

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით


სარჩევი

1. ზოგადი ინფორმაცია	5
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი	5
3. ფულადი სახსრები	5
4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5
5. მარაგები.....	6
6. ძირითადი საშუალებები	6
7. სავაჭრო ვალდებულებები	7
8. საგადასახადო და სხვა ვალდებულებები	7
9. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	7
10. შემოსავლები და ხარჯები.....	7
11. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.....	7

შპს "ახალი გზადმშენი"
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფინანსური მდგომარეობა	შენიშვნა	31/12/2022	31/12/2021	31/12/2020
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	3	75306	127335	51139
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4	101224	115563	19303
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები		11013	19436	0
მარაგები	5	10541	33384	22253
მზა პროდუქცია		4374	0	0
სხვა		6167	33384	22253
საინვესტიციო ქონება		0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები		512263	438153	499513
ბიოლოგიური აქტივები		0	0	0
თვითღირებულების მოდელით		0	0	0
გადაფასების მოდელით		0	0	0
გუდვილი		0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები		0	0	0
ძირითადი საშუალებები	6	778691	965338	1204722
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები		154465	154465	154465
სულ აქტივები		1643503	1853674	1951395
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება		0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	7	128205	79898	66429
ანარიცხები		0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		0	0	0
საგადასახადო ვალდებულებები	8	24976	9290	10138
გამოუმუშავებელი შემოსავალი		0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები		0	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	9	515361	932736	1111804
მიღებული გრანტები		0	0	0
სხვა ვალდებულებები		108957	3208	1270
სულ ვალდებულებები		777499	1025132	1189641
საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')		0	0	0
საემისიო შემოსავალი		0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები		0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		866004	828542	761754
გადაფასების რეზერვი		0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები		0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი		866004	828542	761754
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1643503	1853674	1951395
სულ მოკლევადიანი აქტივები		710347	733871	499513
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		262138	89188	0

მთავარი ბუღალტერი :



შპს ახალი გზადმშენი
მოგება-ზარალის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საქმიანობის შედეგები	31/12/2022	31/12/2021
ნეტო ამონაგები	855503	1076726
საქონლის გაყიდვიდან	13394	181360
მომსახურების გაწვიდან	842109	895366
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	0	0
გაყიდვების თვითღირებულება	-307010	0
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	548493	1076726
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-330915	-321135
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-123899	-147453
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	0	0
იჯარის ხარჯი	0	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-87832	-430149
სულ საოპერაციო ხარჯები	-542646	-898737
საოპერაციო მოგება	5847	177989
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	61089	-87412
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	66936	90577
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	66936	90577
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	66936	90577
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	828542	761754
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება შესაკუთრებზე (მათ შორის დივიდენდი)	-29474	-23789
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	866004	828542

მთავარი ბუღალტერი:



შპს ახალი გზადმშენი
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2022	31/12/2021
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	442936	535145
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-531068	-492327
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-88132	42818
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	36103	33378
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	127335	51139
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	75306	127335

მთავარი ბუღალტერი:



ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ახალი გზადმშენი“ შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში მარეგისტრირებული ორგანოს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, საწარმოს იურიდიული ისევე როგორც ფაქტობრივი მისამართი არის საქართველო, ქთბილისი, ალ.ყიფშიძის #1. კომპანიის საქმიანობის ძირითადი ადგილი არის ქ. თბილისი

შპს ახალი გზადმშენი დაფუძნებულია ფიზიკური პირის გიორგი წიკლაურის მიერ.

საწარმოს საქმიანობაა, სამშენებლო მანქანების და მოწყობილობების იჯარა ოპერატორთან ერთად და ასევე სამშენებლო მასალებით ვაჭრობა

საწარმო ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითადი ეკონომიკური გარემოს. შესაბამისად, საწარმოს სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

ფინანსური ანგარიშგება შედგენილია 2022 წლის პირველი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით საანგარიშგებო პერიოდისათვის.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

სააღრიცხვო პოლიტიკა

3. ფულადი სახსრები

ფული და ფულის ექვივალენტები შედგება სალაროში და საბანკო ანგარიშზე არსებული ფულის ნაშთებისგან

4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან რომელზეც კომპანიამ გაუწია დამკვეთს გარკვეული სახის მომსახურება, აღიარა შემოსავლად, მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. გარკვეული პერიოდულობით გაანალიზდება სავაჭრო და სხვა

მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი.

ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი წარმოიშვება. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში რეზერვში ცვლილება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშებზე. გაუფასურებული მოთხოვნის ჩამოწერის ასახვა ხდება არსებული გაუფასურების რეზერვის ანგარიშზე.

5. მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები მოიცავს კომპანიის მფლობელობაში არსებული „სპექტექნიკის“ მოვლა-შენახვის, სათადარიგო ნაწილების, საწვავის, ასევე სავაჭროდ გამზადებული სამშენებლო მასალების ღირებულებებს.

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდი.

6. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით, თვითღირებულების კომპონენტი მოიცავს შეძენის ფასს დამატებული ღირებულების გადასახადის გამოკლებით და ყველა იმ ხარჯის გათვალისწინებით, რომელიც აუცილებელია სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. საწყისი აღიარების შემდგომ, თვითღირებულებიდან გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების შედეგად აღრიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება იმ პერიოდიდან, როდესაც ხდება აქტივის ექსპლუატაციაში შეყვანა. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით ხოლო მათი გამოყენების საშუალო ვადაა 10 წელი

აქტივის შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები აღირიცხება წარმოშობისას და ჩაითვლება სხვა საოპერაციო ხარჯებში თუ არ ექვემდებარება კაპიტალიზაციას. სასარგებლო მომსახურების ვადა საჭიროების შემთხვევაში ექვემდებარება კორექტირებას.

ძირითადი საშუალებების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისებისას, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა შესაძლებელი.

აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი მოგება თუ ზარალი აღირიცხება სხვა არასაოპერაციო შემოსავლებში/ხარჯებში, იმ პერიოდის შესაბამისად, როდესაც მოხდა აქტივის აღიარების შეწყვეტა.

7. სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან საქონლის (მომსახურების) შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მაშინ, როდესაც საქონელზე (მომსახურებაზე) ყველა რისკი და სარგებელი გადმოდის ჩვენი, როგორც მყიდველი კომპანიის მხარეს. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

8. საგადასახადო და სხვა ვალდებულებები

ამ მუხლებში ასახულია წლის ბოლო მდგომარეობით სახელმწიფოს და საპენსიო სააგენტოს მიმართ არსებული საგადასახადო დავლიანებები

9. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

ბანკიდან მიღებული გრძელვადიანი სესხი ვალდებულების სახით აღიარდება გადასახდელი ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით სესხის გრაფიკის შესაბამისად, ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

10. შემოსავლები და ხარჯები

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან და მომსახურების გაწვიდან აღიარდება საქონლის მიწოდებისა და უფლებების გადაცემის შემდეგ, თუ კმაყოფილდება შემდეგი პირობები: • კომპანიამ მყიდველს გადასცა საქონლის (მომსახურების) ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი. • კომპანია აღარ ინარჩუნებს მენეჯერული ჩარევის საშუალებას ისეთი ხარისხით, რაც მფლობელობასთანაა დაკავშირებული და ეფექტურ კონტროლს გაყიდულ საქონელზე. • შესაძლებელია შემოსავლის სარწმუნოდ გაზომვა. • მოსალოდნელია, კომპანიაში ტრანზაქციასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოძინება. • შესაძლებელია ტრანზაქციასთან დაკავშირებით გაწეული ან გასაწევი ხარჯების სარწმუნოდ გაზომვა.

ხარჯების აღიარება ხდება ასევე სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასა და ვალდებულებების ზრდასთან, რისი საიმედო შეფასებაც შესაძლებელია.

11. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს

საანგარიშო პერიოდის შემდგომ ისეთ მნიშვნელოვან გარემოებებს, რომელთა ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტება საჭირო იქნებოდა, ადგილი არ ჰქონია.